

თავი 1 ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საერთაშორისო ტურნირი „3x3 Georgian Tour“. ტურნირი ტარდება საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით და ფედერაციის „3x3 კალათბურთი“-ის განყოფილების მეშვეობით.

მუხლი 2. 3x3 Georgian Tour –ზე ტურნირები ტარდება „კალათბურთის ოფიციალური წესებით“ და წინამდებარე დებულების შესაბამისად. ტურნირის ყველა მონაწილე ვალდებულია გაეცნოს და შეასრულოს „კალათბურთის ოფიციალური წესების“ და წინამდებარე დებულების მოთხოვნები.

მუხლი 3. „3x3 Georgian Tour“ ტურნირის ჩატარების მიზანია საქართველოში კალათბურთის პოპულარიზაცია, მაქსიმალურად ბევრი მოყვარული თუ დამწყები სპორტსმენის ჩართვა აქტიურ სპორტში.

თავი 2 მოთამაშეების დაშვება ტურნირებზე

მუხლი 4. ს.კ.ფ-ს მიერ ორგანიზებულ „3x3 Georgian Tour“-ში მონაწილეობის უფლება აქვთ მამრ. სქესის 16+ (თექვსმეტი და ზევით) მოთამაშეებს.

მუხლი 5. „3x3 Georgian Tour“ –ზე გუნდში დასაშვებია ორი სუპერლიგის (2013-2014 წლის სეზონის მონაწილე) მოთამაშის დამატება.

მუხლი 6. მოთამაშეს შეუზღუდავად აქვს უფლება ითამაშოს ტურნირის შესარჩევ სხვადასხვა ეტაპზე.

მუხლი 7. „3x3 Georgian Tour“ -ს ტურნირში მოთამაშეების რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგ ელ.მისამართზე giga.gurgenidze@gmail.com ტელ.551770033

თავი 3. „3x3 Georgian Tour“ ტურნირის ჩატარების დრო და სისტემა

მუხლი 8.

8.1 ტურნირი ტარდება 2014 წლის 22–ივნისიდან 12–ივლისის ჩათვლით.

8.2 ტურნირი იმართება საქართველოს მშტაბით 11 ქალაქში:

- თბილისი 22–ივნისი, (შესარჩევი ეტაპი)
- მცხეთა 24–ივნისი, (შესარჩევი ეტაპი)
- თელავი 26–ივნისი (შესარჩევი ეტაპი)
- ბათუმი 29–ივნისი, (შესარჩევი ეტაპი)
- ოზურგეთი 30–ივნისი, (შესარჩევი ეტაპი)
- ზუგდიდი 1–ივლისი, (შესარჩევი ეტაპი)
- ქუთაისი 2–ივლისი, (შესარჩევი ეტაპი)
- ამბროლაური 3–ივლისი, (შესარჩევი ეტაპი)
- ბორჯომი 4–ივლისი, (შესარჩევი ეტაპი)
- გორი 6–ივლისი, (შესარჩევი ეტაპი)
- რუსთავი 9–ივლისი, (შესარჩევი ეტაპი)
- თბილისი 12–ივლისი (ფინალური ეტაპი)

8.3 შესარჩევი ეტაპები ჩატარდება ჯგუფური სისტემით. მონაწილე გუნდების რაოდენობა არ არის შეზღუდული.

8.4 თითო შესარჩევი ეტაპიდან ფინალურ ეტაპზე გადადის ერთი გამარჯვებული გუნდი გარდა თბილისის შესარჩევი ეტაპისა საიდანაც ფინალურ ეტაპზე გადადის 6 საუკეთესო გუნდი.

8.5 ფინალურ ეტაპზე გასულ გუნდს შეუძლია შეცვლოს მაქსიმუმ 2 მოთამაშე იმ შემადგენლობითან, რომლითაც იასპარეზა შესარჩევ ტურში.

8.6 თბილისის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობას მიიღებს 16-გუნდი. ფინალური ეტაპი ჩატარდება ჯგუფური სისტემით(4-ი ჯგუფი) რასაც მოყვება 1/4ფინალი , 1/2ფინალი და ფინალი.

თავი 4. 3x3 თამაშის წესები

ვიზას ოფიციალური საკალათბურთო თამაშის წესები ეკუთვნის ყველა იმ სათამაშო სიტუაციას რომელიც არ არის ნახსენები 3x3 თამაშის წესებში.

მუხლი 1. ბურთი და მოედანი

3x3-ზე თამაში მიმდინარეობს ერთ ფარზე. ჩვეულებრივ 3x3 ზე მოედანის საფარი არის 15მ(სიგანე)x 11მ(სიგრძე). მოედანს აქვს სტანდარტული საკალათბურთო ზომები, რაც მოიცავს საჯარიმო ხაზს (5,80მ), ორქულიანის ხაზი(რკალი) (6,75მ) და ფარის ქვემოთ მდებარე ნახევარ წრე. სათამაშოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას სტანდარტული სათამაშო მოედნის ერთი ნახევარი. სათამაშოდ გამოიყენება ბურთი რომლის ზომაა 6-სი, ყველა კატეგორიაში.

მუხლი 2. გუნდები

ყოველი გუნდი უნდა შედგებოდეს ოთხი მოთამაშისგან (სამი მოთამაშე მოედანზე და ერთი სათადარიგო)

მუხლი 3. თამაშის ოფიციალური პირები

თამაშის ოფიციალური პირები შედგებიან ერთი მსაჯისა და ორი მსაჯ-მდივნისგან (დროის ოპერატორი/ქულების დამთვლელი)

შენიშვნა: ორგანიზატორს შეუძლია დანიშნოს დამატებით ერთი მსაჯი და დამატებით ერთი მსაჯ-მდივანი.

მუხლი 4. თამაშის დაწყება

4.1 თამაშის დაწყებამდე ორივე გუნდი უნდა გახურდეს ერთდროულად.

4.2 მონეტის აგდების წესით უნდა გადაწყდეს თუ ვინ დაიწყებს თამაშს. გუნდი რომელიც მოიპოვებს თამაშის დაწყების უფლებას შეუძლია აირჩიოს თამაშის დაწყება ან დაუთმოს მოწინააღმდეგეს და მოიპოვოს თამაშის დაწყების უფლება ოვერტაიმში;

მუხლი 5. ქუსლების დაგროვება

5.1 ყოველი გდება რომელიც განხორციელდება რკალის შიგნიდან ჩაითვლება ერთ ქულად;

5.2 ყოველი გდება რომელიც განხორციელდა რკალის გარედან ჩაითვლება ორ ქულად;

5.3 ყოველი წარმატებული საჯარიმო სროლა ჩაითვლება ერთ ქულად;

მუხლი 6. სათამაშო დრო/გამარჯვებული გუნდი

6.1 ძირითადი სათამაშო დრო განისაზღვრება შემდეგნაირად:

ერთი პერიოდი, ათი წუთი სათამაშო დროით. დრო ჩერდება მკვდარი ბურთის დროს და საჯარიმო სროლის შესრულებისას. დრო ჩაერთვება ბურთის შემოწმების (დაჩეკვის) შემდეგ(იმ დროს როდესაც ბურთი მიუვა თავდასხმაში მყოფ მოთამაშეს)

შენიშვნა: "დაჩეკვა"- მოქმედება როდესაც თავდასხმაში მყოფი მოთამაშე, შეტევის დაწყებამდე აწვდის ბურთს დაცვაში მყოფ მოთამაშეს და ბურთი უბრუნდება უკან.

6.2 გუნდი რომელიც პირველად მიაღწევს 21 ქულას ან მეტს, იგებს თამაშს, თუ ეს ხდება ძირითადი დროის დამთავრებამდე.ეს წესი ეხება მხოლოდ ძირითად სათამაშო დროს(და არა ოვერტაიმს).

6.3 თუ ძირითადი სათამაშო დროის გასვლისას ანგარიში არის თანაბარი ინიშნება დამატებითი პერიოდი (ოვერტაიმი). ოვერტაიმის დაწყებამდე ცხადდება ერთწუთიანი შესვენება.გუნდი რომელიც ოვერტაიმში პირველი მოაგროვებს ორ (2) ქულას იგებს თამაშს.

6.4 გუნდი რომელიც დანიშნულ დროს მისი სათამაშოდ გამზადებული სამი(3) წევრი არ გამოცხადდება სათამაშო მოედანზე ჩაეთვლება წაგება და 0(ნული)ქულა.

6.5 გუნდი რომელიც თამაშის დამთავრებამდე დატოვებს მოედანს ან თუ გუნდის ყველა მოთამაშე არის ტრამვირებული ან გამევეებული, ეთვლება ტექნიკური წაგება. ტექნიკური წაგების სიტუაციაში გუნდს რომელიც იგებდა თამაშს შეუძლია დატოვოს მოცემული ანგარიში ან ჩაეთვალოს ავტომატური მოგება. გუნდს რომელსაც ჩაეთვლება ტექნიკური წაგება ნებისმიერ შემთხვევაში ეწერება 0(ნული) ქულა.

6.6 გუნდი რომელსაც ჩაეთვალა ტექნიკური წაგება ან ამ მუხლის მეოთხე პუნქტის დარღვევისთვის არ აქვს დასაბუთებული განმარტება, იქნება ტურნირიდან დისკვალიფიცირებული.

შენიშვნა:თუ ზუსტი თამაშის წამზომი არ მოიპოვება, დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება ორგანიზატორების ნებასურვილით.

მუხლი 7. ჯარიმები/საჯარო სროლები

7.1 გუნდური ჯარიმების ლიმიტი შეადგენს 6(ექვს) ჯარიმას. როდესაც გუნდი მიაღწევს 9(ცხრა) გუნდურ ჯარიმას ყველა მომდევნო ჯარიმა ჩაითვლება ტექნიკურ ჯარიმად. მოთამაშეზე არ მოქმედებს პერსონალურ ჯარიმების ლიმიტი და არ ტოვებს თამაშს მე-15 მუხლში მოყვანილ გარემოებების გარდა.

7.2 ჯარიმები სროლის შესრულების მომენტში რკალის შიგნით ჯილდოვდება ერთი (1) საჯარიმო სროლით. ჯარიმები სროლის შესრულების მომენტში რკალის გარედან ჯილდოვდება ორი(2) საჯარიმო სროლით.

7.3 ჯარიმები სროლის შესრულების მომენტში რომელიც მთავრდება ბურთის ჩაგდებით ჯილდოვდება დამატებით საჯარიმო სროლით.

7.4 გუნდური ჯარიმები 7,8 და 9 ჯილდოვდება 2(ორი) საჯარიმო სროლით. მე-10 და ყველა მომდევნო გუნდური, ასევე ტექნიკური და არასპორტული ჯარიმები ჯილდოვდება 2(ორი) საჯარიმო სროლით და ბურთის ფლობით.

7.5 არასპორტული ან ტექნიკური ჯარიმის მსროლელი გუნდი ინარჩუნებს ბურთის ფლობას და თამაში განახლდება დაჩეკვით რკალის უკანა ზონაში მოედნის თავში.

მუხლი 8. თამაშის ტემპის გაჩერება

8.1 თამაშის ტემპის გაჩერება ან შეტევაში პასიურად თამაში განისაზღვრება დარღვევად.

8.2 თუ მოედანი აღჭურვილია დროის წამზომით, გუნდს შეტევისთვის აქვს 12 წამი. დროის ათვლა უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან რა დროსაც თავდასხმაში მყოფი მოთამაშე მიიღებს ბურთს(დაჩეკვის შემდეგ ან ფარის ქვემოთ ჩაგდებული ბურთის შემდეგ)

შენიშვნა: თუ მოედანი არ არის აღჭურვილი დროის წამზომით და გუნდი საკმარისად არ ცდილობს შეტევას, მსაჯი აფრთხილებს გუნდს და იწყებს ხუთი(5) წამის ათვლას.

მუხლი9. ბურთის გამოტანა

9.1 ჩაგდებული ბურთის შემდეგ ან ჩაგდებული საჯარიმო სროლის შემდეგ:

- დაცვაშიმყოფი მოთამაშე რომელიც გადადის თავდასხმაში ანახლებს თამაშს ბურთის ტარებით ან პასის მიცემით, ფარის ქვემოდან (მოედნის შიდა ზონიდან)რკალის უკანა ზონის მიმართულეებით.
- დაცვაში გადასულ გუნდს არ აქვს უფლება შეეხოს ბურთს ფარის ქვემოთ მდებარე ნახევარი წრის ზონაში.

9.2 აცილებული სროლის ან აცილებული ბოლო საჯარიმო სროლისას:

- თუ შეტევაში მყოფი გუნდი მოხსნის ბურთს, მას შეუძლია გააგრძელოს შეტევა რკალის უკანა ზონაში ბურთის დაბრუნების გარეშე.

- თუ დაცვაში მყოფი გუნდი მოხსნის ან ჩაჭრის ბურთს, მან უნდა დააბრუნოს ბურთი რკალის უკანა ზონაში (პასით ან ტარებით).

9.3 მკვდარი ბურთის სიტუაციის შემდეგ ნებისმიერმა გუნდმა ვისაც გადაეცა ბურთი უნდა დაიწყოს ბურთის დაჩეკვით (დამცველ და თავდასხმაში მყოფ მოთამაშეს შორის) რკალის უკანა ზონაში მოედნის თავში.

9.4 მოთამაშე ითვლება რკალის უკანა ზონაში როდესაც მისი არც ერთი ფეხი არ არის რკალზე დაბიჯებული ან შიგნით.

9.5 სიტუაცია როდესაც დაფიქსირდება „სადაო გდება“, ბურთი გადაეცემა დაცვაში მყოფ გუნდს.

მუხლი10. შეცვლები

შეცვლები შეუძლია განახორციელოს ნებისმიერ გუნდმა მკვდარი ბურთის სიტუაციაში, ბურთის დაჩეკვამდე. შეცვლაზე შემომსვლელ მოთამაშეს შეუძლია მოედანზე შემოსვა როდესაც მისი გუნდელი დატოვებს მოედანს და ისინი ფიზიკურად შეეხებიან ერთმანეთს. შეცვლების გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ ფარის მოპირდაპირე მხარეს მოედნის ხაზის მიღმა და არ მოითხოვს მსაჯების ან მსაჯ-მდივნების ნებართვას.

მუხლი11. წუთ-შესვენებები

თითოეულ გუნდს აქვს ერთი(1) 30-წამიანი წუთშესვენება. მოთამაშეს შეუძლია წუთშესვენების აღება მკვდარი ბურთის სიტუაციაში.

მუხლი12. პროტესტი

თუ გუნდი თვლის რომ მისი ინტერესები შელახული იქნა თამაშის დროს თამაშის ოფიციალური პირების მიერ მან უნდა იმოქმედოს შემდეგნაირად:

- ამ გუნდის მოთამაშე თამაშის დამთავრების შემდეგ აწერს ოქმს ხელს სანამ მას მსაჯები მოაწერენ.

- 30 წუთის მანძილზე გუნდმა უნდა წარადგინოს პროტესტი წერილობით, ასევე გირაო

50ლარის ოდენობით გადასცეს ტურნირის მენეჯერს. თუ პროტესტი იქნა დაკმაყოფილებული, გირაოს სახით გადახდილი თანხა უკან ბრუნდება.

- ვიდეო მასლა შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევის გადასაწყვეტად მოესწრო თუ არა ბურთისსროლა კალათისკენ ძირითადი დროის დამთავრებამდე ან ნასროლი ბურთი ერთ(1) ქულიანია თუ ორ(2) ქულიანი.

მუხლი 13. გუნდების განლაგება ცხრილში

ჯგუფურ სისტემის ცხრილებში და საერთო ჩემპიონატის ცხრილში მოქმედებს შემდეგი წესები. თუ გუნდებს თანაბარი ქულები აქვთ ვხელმძღვანელობთ შემდეგი პუნქტებით შემდეგი თანმიმდევრობით:

- მეტი მოგება.
- ურთიერთშეხვედრები (მოგება/წაგება ეხება ჯგუფურ ეტაპს).
- ჩაგდებული ქულების რაოდენობა.

მუხლი 14. დისკვალიფიკაცია

მოთამაშე რომელიც მიიღებს ორ არასპორტულ ჯარიმას იქნება დისკვალიფიცირებული თამაშიდან მსაჯის მიერ და ასევე ტურნირიდან ორგანიზატორის მიერ. მოთამაშის მიერ სიტყვიერი, ფიზიკური შეურაცხყოფის და სხვა აგრესიული ქმედებების ჩადენის შემთხვევაში ორგანიზატორი უფლებამოსილია დისკვალიფიკაცია მისცეს როგორც ცალკეულ მოთამაშეს ასევე გუნდს.

თავი 15. ფინანსები

კალათბურთის ფედერაცია გაიღებს შემდეგ ხარჯებს:

- ინვენტარის იჯარას.
- მსაჯთა ჯგუფის მიერ თამაშის მომსახურებას.
- ტურნირის ორგანიზატორთა სპეციალური მაისურების, ასევე მოთამაშეთა ფორმების ხარჯებს.
- 3x3 Georgian Tour 2014-ის მოთამაშეების, ტურნირის დროს გამართულ სხვადასხვა საშეჯიბრო კონკურსის გამარჯვებულების თასებით, სიგელებით, მედლებით დაჯილდოვებას.